



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ32.322104312

თარიღი:12/02/2021

მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩეველთა კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ და „ე.ი“ პუნქტის, 85-ე მუხლის მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „თ“ პუნქტის, 85⁴ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის # 654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

- 1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომრჩეველების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომრჩეველების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩეველებთან კონსულტაციები დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
- 2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მერიის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილებას მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.
- 3.თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განსაზღვროს დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში და ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09 - დან - 18 - საათამდე, 2021 წლის 16 თებერვლიდან პერიოდში.
5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩეველებთან

კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახელებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტე (ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრონ: ა) დავით მულაძე (ტელ: 599 03 09 05; ელ.ფოსტა: davitmuladze@gamil.com) ბ) შალვა აბრამიშვილი (ტელ: 595 64 44 34; ელ.ფოსტა: sh.abramishvili1980@gmail.com)

7. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე და მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლაშა ლობჯანიძეს.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას №113), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დანართი: 13 (ცამეტი) ფურცელად:

ზაური ტაბატაძე

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

